ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N20

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 08.08.2018წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე *-გიორგი ივანიაძე.*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: –გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, რამაზ არველაძე, კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, გელა ღვიტიძე, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი -**ზვიად კაპანაძე.**
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფარსტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭეიშვილი.**
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -**მაია ჯულაყიძე.**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 11^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ".

მომხს: /გელა ჩიკვაიძე/

2.,,საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხს: / მიხეილ სვანაძე/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.20.227) იჯარით, 10 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის თაობაზე".

მომხს:/ ზვიად კაპანაძე/

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე მერიის შენობის (ს/კ 31.01.26.068) ნაწილის, მეორე სართულზე არსებული 44,547 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ ,,ვანის ტურიზმის ცენტრი"-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე".

მომხს:/ ზვიად კაპანაძე/

5.,,ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხს:/მამუკა ნამიჭეიშვილი/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც ვიცით 28 ოქტომბერს დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები, ამის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის, გამოიყო ადგილები. მომხესენებელმა წარმოადგინა იმ შენობა -ნაგებობების სია, სადაც შეიძლება ამ მასალების განთავსება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 1 (თორნიკე ერისთავი)

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.“

(დანართი: დადგენილება N 27 54)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მაია ჯულაყიძემ (მიხეილ სვანაძის სააპტიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა განკარგულების სათაურში და პირველ მუხლში. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ”, ხოლო პირველი მუხლი შემდეგი რედაქციით: „საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარების პროგრამა“ დანართის შესაბამისად.

მომხსენებელმა განმარტა,რომ დახმარება მიეცემა არამარტო საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულ ოჯახებს, ასევე დახმარებას მიიღებენ სოციალურად დაუცველი ვეტერანები 300 (სამასი) ლარის ოდენობით ერთჯერადად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

(დანართი: განკარგულება N 27 55).

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.20.227) იჯარით, 10 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის თაობაზე".

მომხსენებელმა აღნიშნა: მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური საკუთრების 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნილების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.227) იჯარით 10 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გაცემაზე და ქირის საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.
წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 1 (თორნიკე ერისთავი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.20.227) იჯარით, 10 წლის

ვადით, აუქციონის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის თაობაზე“.

(დანართი: განკარგულება N27 56)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე მერიის შენობის (ს/კ 31.01.26.068) ნაწილის, მეორე სართულზე არსებული 44,547 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ ,,ვანის ტურიზმის ცენტრი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა: როგორც ცნობილია ჩამოყალიბდა ახალი ა (ა)იპ ,,ვანის ტურიზმი“, რომელსაც ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება ფართი, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება მერიის შენობის მეორე სართულზე 44,547 კვმ ფართი გადაეცეს ,,ვანის ტურიზმის ცენტრს“.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს

მომხრე – 24
წინააღმდეგი – 1 (თორნიკე ერისთავი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე მერიის შენობის (ს/კ 31.01.26.068) ნაწილის, მეორე სართულზე არსებული 44,547 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ ,,ვანის ტურიზმის ცენტრი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

(დანართი: განკარგულება N27 57)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილება N27 51 განკარგულების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლების შუაგორა-ზედაგორას (ცივწყაროს მიმართულებით) შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“. ასევე 2019 წელს განსახორციელებელი ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილოგზის რებილიტაცია /კოპიტნარის მიმართულებით, მესამე ეტაპის სამუშაოები/ გადმოტანილი იქნას 2018 წელში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს :

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 1 (თორნიკე ერისთავი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება N27 58).

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე